

# საქართველოს კანონი

## „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №48, 09.08.2010, მუხ. 312) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 6<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 6<sup>1</sup>. მესამე პირის მომსახურების ანაზღაურება

1. მესამე პირის მომსახურება ანაზღაურდება საპრივატიზებო საფასურიდან, ქონების მმართველსა და მესამე პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. მესამე პირთან ანგარიშსწორება განხორციელდება აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში ანგარიშსწორების ვადა განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

2. 46-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად 2013 წლის 1 მაისამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს მესამე პირებთან თანამშრომლობის სტანდარტი.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

ქუთაისი,

20 მარტი 2013 წ.

N352-IIIს

